gec
systemic business consulting

2017 წლის წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებების მიმოხილვა

geccorporation.com

კვლევის მიზანი და მნიშვნელობა

კვლევის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ ბიზნეს სუბიექტების მიერ წარდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონთან შესაბამისობის დონის დადგენა.
- ✓ წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებების ხარისხობრივი შეფასება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციებისა და საერთაშორისო პრაქტიკების მიხედვით.

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა სუბიექტებს კანონმდებლობით დაევალათ 2018 წლიდან, ამდენად, მაკონტროლებელი ორგანოსთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რა პრობლემები/გამოწვევები გამოიკვეთა პირველი, 2017 საანგარიშო წლის შედეგების მიხედვით.

კვლევის შედეგები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომში - „სამსახური“) დაეხმარება, გააუმჯობესოს კანონმდებლობა ან/და შეიმუშაოს დამატებითი ინსტრუქციები/სახელმძღვანელოები.

კვლევის მეთოდოლოგია

შეფასების მიდგომა



კვლევა ჩატარდა 2019 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით.

კვლევის ფარგლებში შეფასდა **2017** წლის საანგარიშო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებები.

ანალიზი ჩატარდა ორ ეტაპად:

1. ზოგადი შეფასება
2. კომპონენტების დეტალური შეფასება

ზოგადი შეფასების მიდგომა - არის თუ არა ანგარიშში ყველა სავალდებულო კომპონენტი ასახული;

კომპონენტების შეფასების მიდგომა - გადმოცემული ინფორმაცია რამდენად ფარავს ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

1

შეფასდა www.reportal.ge საანგარიშგებო პორტალზე რეგისტრირებული **517** კომპანია შემდეგი კრიტერიუმით:

- აქვს თუ არა წარდგენილი მმართველობის ანგარიშგება
- რამდენად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს

კომპონენტების შეფასება

2

შეფასდა **169** კომპანიის წარდგენილი მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის კომპონენტების მიხედვით:

- განვითარების გეგმები
- რისკები და გაურკვევლობები
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- კვლევები და განვითარება

gec
systemic business consulting

მმართველობის ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

geccorporation.com

წარდგენილი ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

2017 წლის საანგარიშო პერიოდზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, კვლევის ჩატარების მომენტისთვის სულ წარდგენილი იყო 517 წლიური ანგარიში (ფინანსური ან/და მმართველობის)

I კატეგორია

წლიური ანგარიშების 16% წარმოდგენილი იქნა I კატეგორიის სუბიექტების მიერ

II კატეგორია

წლიური ანგარიშების 60% წარმოდგენილი იქნა II კატეგორიის სუბიექტების მიერ



სდპ

წლიური ანგარიშების 23% წარმოდგენილი იქნა სდპ-ების მიერ

წარდგენილი ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

reportal.ge-ის ბაზაში იდენტიფიცირებული 517 სუბიექტიდან (I და II კატეგორია, სდპ):

- **143**-მა სუბიექტმა არ წარადგინა მმართველობის ანგარიშგება
- **103** სუბიექტის ანგარიში იყო არადამაკმაყოფილებელი[1]
- **271** მმართველობის ანგარიში შეფასდა როგორც დამაკმაყოფილებელი[2]



1. მმართველობის ანგარიშგება შეფასდა, როგორც არადამაკმაყოფილებელი, თუ არ იყო აღწერილი კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა ძირითადი კომპონენტი.
2. მმართველობის ანგარიშგება შეფასდა, როგორც დამაკმაყოფილებელი, თუ აღწერილი იყო ყველა ძირითადი კომპონენტი

წარდგენილი ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

მმართველობის ანგარიშგება	I კატეგორია	II კატეგორია	სდპ	სულ
დამაკმაყოფილებელი	51	151	69	**271**
არადამაკმაყოფილებელი	9	76	18	**103**
არ არის წარდგენილი	22	88	33	**143**
სულ	**82**	**315**	**120**	**517**

წარდგენილი ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

	სუბიექტების კატეგორია			
მმართველობის ანგარიშგების სტატუსი	I	II	სდპ	სულ
დამაკმაყოფილებელი	19%	56%	25%	100%
არადამაკმაყოფილებელი	9%	74%	17%	100%
არ არის წარდგენილი	15%	62%	23%	100%

წარდგენილი ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

	სუბიექტების კატეგორია		
მმართველობის ანგარიშგების სტატუსი	I	II	სდპ
დამაკმაყოფილებელი	62%	48%	58%
არადამაკმაყოფილებელი	11%	24%	15%
არ არის წარდგენილი	27%	28%	28%
სულ	100%	100%	100%

gec systemic business consulting

მმართველობის ანგარიშგების სტატუსი

517-მა სუბიექტმა წარადგინა წლიური ანგარიში

218 სუბიექტს ჰყავს მშობელი საწარმო

- საქართველოში რეგისტრირებული მშობელი საწარმო ჰყავს 70 სუბიექტს
  - 56 დამაკმაყოფილებელი;
  - 14 არადამაკმაყოფილებელი;
  - 30-მა სუბიექტმა არ წარადგინა.
- უცხოეთში რეგისტრირებული მშობელი საწარმო ჰყავს 118 სუბიექტს
  - 67 დამაკმაყოფილებელი;
  - 22 არადამაკმაყოფილებელი;
  - 29 სუბიექტმა არ წარადგინა

299 სუბიექტს არ ჰყავს მშობელი საწარმო

- 49 სუბიექტს ჰყავს შვილობილი საწარმო
  - 18 დამაკმაყოფილებელი;
  - 9 არადამაკმაყოფილებელი;
  - 22-მა სუბიექტმა არ წარადგინა
- 250 სუბიექტს არ ჰყავს შვილობილი საწარმო
  - 130 დამაკმაყოფილებელი;
  - 58 არადამაკმაყოფილებელი;
  - 62-მა სუბიექტმა არ წარადგინა

წარდგენილი ანგარიშგებების ზოგადი შეფასება

2017 წლის საანგარიშგებო პერიოდზე წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებები ინდუსტრიების მიხედვით

- საბითუმო ვაჭრობა
- საცალო ვაჭრობა
- სამშენებლო საქმიანობა
- ფინანსური მომსახურება
- საკვები პროდუქტების წარმოება
- არასაკვები პროდუქტების წარმოება
- სასტუმროების, რესტორნების მომსახურება
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები
- სხვა



gec
systemic business consulting

მმართველობის ანგარიშგებების კომპონენტების შეფასება

geccorporation.com

კომპონენტების შეფასების საერთო მიგნებები

ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია ის მთავარი პრინციპები (არსებითობა, ინფორმაციის ეფექტურად მიწოდება), რომელთა გათვალისწინება რეკომენდებულია სამსახურის მიერ შემუშავებული მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოთი.

უმეტეს შემთხვევაში გადმოცემული ინფორმაცია არის ზოგადი, არ გააჩნია საკმარისი დეტალიზაცია, წარდგენილი ინფორმაცია იმდენად უნივერსალურია, რომ შესაძლებელია ნებისმიერი სხვა სუბიექტის საქმიანობის აღწერისთვის იქნას გამოყენებული.
შედეგად, ვერ ხორციელდება კონკრეტული საკითხის ადეკვატური შეფასება და შესაბამისად, არის უსარგებლო გარე დაინტერესებული მხარეებისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში, ანგარიშები გადატვირთულია არარელევანტური ინფორმაციით, რის ფონზეც კონკრეტული საჭირო ინფორმაცია იკარგება.

კომპონენტების შეფასების საერთო მიგნებები

ჩანაწერები გაუმართავია შინაარსობრივად და გრამატიკულად. გადმოცემული ინფორმაცია არასტრუქტურირებულია და გადასვლები საკითხიდან საკითხზე არ არის მკვეთრად გამიჯნული. შესაბამისად, ხშირად კონკრეტულ საკითხზე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

რიგ მმართველობის ანგარიშგებაში სათაური და შიგთავსი არ შეესაბამება ერთმანეთს.

გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მოწოდებული ინფორმაცია ატარებდა სარეკლამო ხასიათს. ასეთი სიტუაცია მკვეთრად გამოჩნდა სასტუმროს ბიზნესში, სადაც დეტალურადაა გადმოცემული სასტუმრო ოთახების ინტერიერი, სერვის პაკეტების დეტალები და სხვა. ამასთან, სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოტოვებულია.

განვითარების გეგმები

საკანონმდებლო მოთხოვნები

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს სუბიექტის განვითარების გეგმებს.

კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპანიების უმრავლესობას არ აქვს დეტალურად აღწერილი განვითარების გეგმები ან მიზნები. ძირითადად, ზოგადად არის აღწერილი კომპანიის მომავლის ხედვა, ან მოცემულია ზოგადი სტრატეგია, კონკრეტიკის გარეშე.

სუბიექტებს, რიგ შემთხვევაში, განვითარების გეგმები არ აქვს გამოხატული რაოდენობრივი მაჩვენებლებით. მაგალითად, აღნიშნული აქვთ, რომ გეგმავენ გაყიდვების გაზრდას, საოპერაციო მოგების გაზრდას ან ახალი ბაზრის ათვისებას, თუმცა ეს გეგმები არ აქვს გამოხატული რაოდენობრივად, სამიზნე ინდიკატორებით.

განვითარების გეგმები

- შესწავლილი 169 სუბიექტების 75%-ს საქმიანობის მიმოხილვის ნაწილში ასახული აქვს განვითარების გეგმების კომპონენტი
- სუბიექტების 51%-ს განვითარების გეგმები აღწერილი აქვს დეტალურად, კონკრეტული მიზნების მითითებით, აქედან სუბიექტების 37%-ს აღწერილი აქვს საფუძვლიანად, გაზომავდი სამიზნე მაჩვენებლების მითითებით.
- კომპანიების 24%-ს მხოლოდ ზოგადი გეგმები და სტრატეგია აქვს აღწერილი
- ხოლო 25%-ს საერთოდ არ აქვს განვითარების გეგმებზე საუბარი ანგარიშგებაში



რისკები და გაურკვევლობები

საკანონმდებლო მოთხოვნები

მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის კომპონენტი უნდა ასახავდეს სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ასევე უნდა მოიცავდეს:

- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ.

სამსახურის რეკომენდაციები

„საქმიანობის მიმოხილვაში მოხსენიებულ რისკებსა და გაურკვევლობებზე ხელმძღვანელი პირების მხრიდან მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მონიტორინგი, რომლის მეთოდოლოგია და შედეგები რეკომენდირებულია აისახოს ანგარიშგებაში“.

„ძირითადი რისკების მართვასთან დაკავშირებული მიზნებისა და პოლიტიკის ნაწილში წარმოდგენილმა ინფორმაციამ სრულად უნდა მოიცვას, როგორც რისკების ალბათობისა და იმ გარემოებების აღწერა, რომელთა პირობებშიც აღნიშნულ რისკებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სუბიექტზე, ასევე, ამ რისკების შესაძლო ეფექტების შეფასება და აღწერა“.

რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური და სხვა რისკები

ფინანსური რისკები აღწერილია შესწავლილი 169 მმართველობის ანგარიშგებიდან **160** ანგარიშგებაში





საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა რისკები აღწერილია შესწავლილი 169 მმართველობის ანგარიშგებიდან **101** ანგარიშგებაში

რისკები და გაურკვევლობები

შესწავლილი 169 ანგარიშგებიდან **57%**-ს აღწერილი აქვს, როგორც ფინანსური, ისე საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა რისკები. მათი ინდუსტრიების მიხედვით გადანაწილება შემდეგია:



საცალო ვაჭრობა

საბითუმო ვაჭრობა

სამშენებლო საქმიანობა

საკვები პროდუქტების წარმოება

ფინანსური მომსახურება

სხვა საქმიანობა

რისკები და გაურკვევლობები

რისკებისა და გაურკვევლობების კომპონენტი ასახულია შესწავლილი ანგარიშგების უმრავლესობაში. თუმცა უმეტესად ფინანსური რისკების აღწერაა გადმოცემული.

რიგ შემთხვევებში ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები აღწერილია კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებში.

მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არის აღწერილი რისკების მართვის შედეგები.

იშვიათ შემთხვევებში არის აღწერილი იდენტიფიცირებული რისკის ალბათობა და შეფასებულია მისი გავლენა, ისე რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს კომპანიას.

რისკის მართვის მეთოდების ნაწილში გადმოცემული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ არის ინფორმატიული და მოკლებულია კონკრეტიკას.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI)

169 გაანალიზებული მმართველობის ანგარიშგება

57 ანგარიშგება არ შეიცავდა საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს

57

112

112 ანგარიშგებიდან 60 ანგარიშგება შეიცავდა საქმიანობის ფინანსურ ძირითად მაჩვენებლებსაც და საოპერაციოსაც

112

დამაკმაყოფილებელი ფინანსური KPI	95
არადამაკმაყოფილებელი ფინანსური KPI	14
არ შეიცავს ფინანსურ KPI	3

დამაკმაყოფილებელი საოპერაციო KPI	55
არადამაკმაყოფილებელი საოპერაციო KPI	8
არ შეიცავს საოპერაციო KPI	49

1. KPI შეფასდა, როგორც არადამაკმაყოფილებელი, თუ ვერ ხორციელდებოდა სუბიექტის ფინანსური/საოპერაციო შედეგების შეფასება.
2. KPI შეფასდა, როგორც დამაკმაყოფილებელი, თუ მისი საშუალებით შესაძლებელი იყო სუბიექტის ფინანსური/საოპერაციო შედეგების შეფასება.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI)

- მმართველობის ანგარიშგებებში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
- ფინანსურ მაჩვენებლებში უმეტეს შემთხვევაში გადმოცემულია მხოლოდ ის ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც უკვე მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ნაწილში (ფინანსურ უწყისებში) - მაგ.: მოგების მარჟა, წლიური შემოსავლები და ა. შ.
- ანგარიშებში მითითებულ საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს უმეტესწილად არ ახლავს შესაბამისი ახსნა-განმარტება. ზოგიერთი მაჩვენებელი არის საკმაოდ სპეციფიკური და საჭიროებს დამატებით განმარტებას ფართო არეალის მკითხველისათვის.
- უმეტეს შემთხვევაში, არ არის მითითებული თუ რატომ არის კონკრეტული ფინანსური თუ არაფინანსური ძირითადი მაჩვენებელი მნიშვნელოვანი მოცემული სუბიექტისთვის და ყველაზე ზუსტად წარმოაჩენს მისი საქმიანობის შედეგებს.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI)

- უმეტესწილად ანგარიშებში არ არის ახსნილი, თუ რით არის განპირობებული ის მონაცემი, რომელზეც სუბიექტი გავიდა საქმიანობის კონკრეტულ ძირითად მაჩვენებელში.

- ანგარიშებში არ იკვეთება საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების ისტორიული შედარება. ვერ ხორციელდება საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების წლიდან წლამდე ცვლილების და ასეთი ცვლილების მიზეზების შეფასება (მაგ.: ცვლილება მაჩვენებლების დათვლის მეთოდოლოგიაში, საოპერაციო შედეგებში
და ა. შ.).

- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სუბიექტების უმეტესობას, რომელთაც წარდგენილი აქვთ მმართველობის ანგარიშგებაში საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები, ძირითადი ფოკუსირება აქვთ ფინანსურ კოეფიციენტებზე, მათ შორის ისეთებზე, რომელთა დათვლა მარტივია ან უკვე გამოყვანილია ფინანსური უწყისების ფარგლებში (მაგ.: მოგების მარჟა, წლიური შემოსავლები და ა. შ.)

კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა (R&D)

კანონის მიხედვით, კვლევების და განვითარების შესახებ ინფორმაცია სუბიეექტმა უნდა ასახოს საქმიანობის მიმოხილვის ნაწილში. საქმიანობის მიმოხილვა უნდა მოიცავდეს სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვას.

კანონში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა სახის კვლევები უნდა იყოს აღწერილი: იგულისხმება ახალი პროდუქტის განვითარებისთვის აუცილებელი კვლევები თუ ბაზრის კვლევა, მარკეტინგული კვლევა და ა.შ.

სამსახურის სახელმძღვანელოს მიხედვით სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების (R&D) მიმოხილვა მოიცავს ისეთი ინოვაციური ღონისძიებების აღწერას, რომლებიც ახალი ან უკვე არსებული სერვისების ან პროდუქტების განვითარებასა და გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული.

კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა (R&D)

სუბიექტების 13%-ს ანგარიშგებაში გაკეთებული აქვს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ არ ჰქონიათ კვლევები საანგარიშო პერიოდში

სუბიექტების 71%-ს მმართველობის ანგარიშგებაში საერთოდ არ აქვს საუბარი კვლევებზე და განვითარებაზე

სუბიექტების მხოლოდ 16%-ს აქვს აღწერილი საანგარიშო პერიოდში განხორციელებული კვლევები.

კვლევები და მისი **განვითარების** მიმოხილვა (R&D)

უმეტეს შემთხვევაში, R&D-ის კომპონენტი არ გვხვდება წარდგენილ ანგარიშგებებში ან მითითებულია, რომ კვლევები არ განუხორციელებიათ.

კვლევების ნაწილში გადმოცემული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არ არის ინფორმატიული და მოკლებულია კონკრეტიკას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ, რიგ შემთხვევებში სუბიექტებს „კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები“ კომპონენტში აღწერილი აქვთ ბაზრის ან კონკრეტულად, მარკეტინგული კვლევის შესახებ ინფორმაცია.

GEC-ის შესახებ

GEC არის ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს სისტემურ ბიზნეს გადაწყვეტილებებს დიდ და საშუალო ზომის ორგანიზაციებისთვის და სტარტაპებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ ეფექტური ბიზნეს რჩევები ცვლილებების განხორციელებისათვის და ზრდისათვის. GEC მუშაობს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორის დაწესებულებებთან.

2010-დან, ჩვენ:

- წარმატებით განვახორციელეთ 80-ზე მეტი პროექტი
- გავხდით ISPI-ს (საქმიანობის გაუმჯობესების საერთაშორისო საზოგადოების) წევრი
- გავხდით IFS-ის (მართვის საინფორმაციო სისტემის საერთაშორისო მწარმოებელი) ექსკლუზიური წარმომადგენლები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში
- შევედით ახალ ბაზარზე და გავხსენით ოფისები ყირგიზეთსა და ყაზახეთში

gec
systemic business consulting

რჩევა

- სტრატეგიის განვითარება
- ბიზნეს დაგეგმვა
- საქმიანობის შეფასება
- მმართველობის ანგარიშგება
- ფინანსებთან წვდომა

კვლევა

- ინდუსტრიის/სექტორის/ბაზრის კვლევა
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (Feasibility Studies)
- რეგულირების ზეგავლენის ანალიზი (RIA)

თქვენი ბიზნესი

რესტრუქტურიზაცია

- საქმიანობის გაუმჯობესება
- ორგანიზაციული სტრუქტურა/დიზაინი
- ბიზნეს პროცესის შემუშავება/განახლება
- საწარმოს რესურსის დაგეგმვის (ERP) სისტემის დანერგვა
- შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა
- მენეჯერული სისტემის დიზაინი და განხორციელება
- ცვლილებების მენეჯმენტი
- კორპორატიული ტრენინგი

geccorporation.com

თბილისი, ფალიაშვილის 37/2, ოფისი 23ა; + 995 32 230 7316; info@geccorporation.com

მადლობა!